INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაციის მონიტორინგის შედეგები და რეკომენდაციები

მარტი, 2016 წელი

ავტორი: ლევან ავალიშვილი, გოგა თუშურაშვილი, დავით მაისურაძე

კვლევა განხორციელდა პროექტ *„საქართველოს პარლამენტის მხარდაჭერა ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში“* - ფარგლებში.

პროექტის ფინანსური მხარდამჭერია **გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)** და **ევროკავშირი.**

UNDP

Empowered lives.
Resilient nations.

EUROPEAN UNION

*ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს (IDFI) და არ გამოხატავს **გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP)** და **ევროკავშირის** პოზიციას. შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაციები არ არიან პასუხისმგებელნი კვლევის შინაარსზე.*

აკრძალულია ანგარიშში მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის წერილობითი ნებართვის გარეშე.

სარჩევი

საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაციის მონიტორინგის შედეგები და რეკომენდაციები....3

არსებული ხარვეზები და IDFI-ის რეკომენდაციები....5

- ➢ ინფორმაცია რომელიც პარლამენტის ვებგვერდზე საერთოდ ვერ იქნა მოძიებული....5
- ➢ არასრულყოფილად განთავსებული ინფორმაცია....5
- o პარლამენტის აპარატში დასაქმებულთა შესახებ ინფორმაცია....5
- ➢ ბალანსზე რიცხული უძრავი ქონება....6
- o ავტოპარკი, საწვავის და ტექნიკური მომსახურების ხარჯი....7
- o სატელეკომუნიკაციო ხარჯები....8
- o შრომის ანაზღაურება....9
- o სამივლინებო ხარჯები....10
- o ბიუჯეტი....11
- o განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები....11
- o პარლამენტისთვის გამოყოფილი ფინანსური დახმარება....12
- o კომიტეტების საქმიანობის ანგარიშები....13
- ➢ ინფორმაციის განთავსების დათარიღება....14
- ➢ ინფორმაციის თემატური გადანაწილება....14
- ➢ საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი....18

საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაციის მონიტორინგის შედეგები და რეკომენდაციები

2013 წლის 31 დეკემბერს ძალაში შევიდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანება საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ. დოკუმენტის მიხედვით, საქართველოს პარლამენტის აპარატს 2014 წლის 31 მარტამდე დაევალა დანართით განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნება და მისი განსაზღვრული პერიოდულობით განახლება.

2016 წლის 14 მარტს IDFI-იმ განახორციელა საქართველოს პარლამენტის ვებგვერდის მონიტორინგი, რომლის მიზანიც იყო გამოერკვია, რამდენად ასრულებს საქართველოს პარლამენტის აპარატი ბრძანებით განსაზღვრულ ვალდებულებას. მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით IDFI-ის მიერ საქართველოს პარლამენტისათვის შემუშავებულია რეკომენდაციები.

მონიტორინგის დაწყების დროს (14.03.2016) საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე განთავსებული უნდა ყოფილიყო 2013, 2014 და 2015 წლების სრული მონაცემები.

IDFI-ის მონიტორინგის შედეგები, სავალდებულო პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის თითოეული პუნქტის მიხედვით, გამოიყურება შემდეგნაირად:

√ - *ინფორმაცია განთავსებულია სრულყოფილად*

± - *ინფორმაცია განთავსებულია ნაწილობრივ*

X - *ინფორმაცია არ არის განთავსებული*

2016 წლის 14 მარტს IDFI-ის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგები			
N	შინაარსი	შედეგი	შენიშნა
ა	პარლამენტის სტრუქტურა და ფუნქციები	√	
ბ	მიღებული სამართლებრივი აქტები	√	
გ	პარლამენტის წევრების ბიოგრაფიული მონაცემები	√	
დ	ბიურო, კომიტეტები, ფრაქციები, საგამოძიებო და სხვა კომისიები, უმრავლესობა . . .	√	
ე	პარლამენტის საკონტაქტო ინფორმაცია	√	
ვ	პარლამენტის წევრების საკონტაქტო ინფორმაცია	√	
ზ	მაჟორიტარი დეპუტატების ბიუროების საკონტაქტო ინფორმაცია	√	
თ	აპარატის დებულება, სტრუქტურა და ფუნქციები, საშტატო განრიგი	√	

ი	აპარატის ხელმძღვანელობის ბიოგრაფია და საკონტაქტო ინფორმაცია	√	
კ	საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ ინფორმაცია	√	
ლ	აპარატში დასაქმებულების შესახებ ინფორმაცია კატეგორიების და გენდერის მიხედვით	±	ინფორმაცია არ არის განთავსებული კვარტალების მიხედვით
მ	ვაკანსიები	√	
ნ	კონკურსის ჩატარების წესი	√	
ო	საჯარო ინფორმაციის სტატისტიკა	√	
პ	ბალანსზე რიცხული უძრავი ქონება	±	არ ხდება ინფორმაციის განახლება დადგენილების მიხედვით
ჟ	ქონების გასხვისება	X	
რ	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	±	უახლესი ინფორმაცია თარიღდება 2014 წლის II კვარტლით
ს	საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯები	±	უახლესი ინფორმაცია თარიღდება 2014 წლის II კვარტლით
ტ	სატელეკომუნიკაციო ხარჯები	±	უახლესი ინფორმაცია თარიღდება 2014 წლის II კვარტლით
უ	ავტომობილების ტექნიკური მომსახურების ხარჯები	±	უახლესი ინფორმაცია თარიღდება 2014 წლის II კვარტლით
ფ	სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა	√	
ქ	განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები	±	2015 წლის პირველი კვარტლის შემდგომ განთავსებულია მხოლოდ პარლამენტის მიერ განხორციელებული ტენდერების ბმულები სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე.
ღ	შრომის ანაზღაურება	±	უახლესი ინფორმაცია თარიღდება 2014 წლის II კვარტლით
ყ	სამივლინებო ხარჯები	±	უახლესი ინფორმაცია თარიღდება 2014 წლის II კვარტლით
შ	ბიუჯეტი	±	უახლესი ინფორმაცია თარიღდება 2014 წლის II კვარტლით
ჩ	პარალმენტისთვის გამოყოფილი ფინანსური დახმარება	±	უახლესი ინფორმაცია თარიღდება 2013 წლით
ც	გაცემული გრანტები	X	
ძ	საბიუჯეტო ფონდებიდან გამოყოფილი თანხები	X	
წ	საბიუჯეტო ფონდებიდან თანხის გამოყოფის შესახებ სამართლებრივი აქტები	X	
ჭ	კომიტეტების საქმიანობის ანგარიშები	±	განთავსებულია მხოლოდ 2015 წლის ანგარიშები
ჯ	მიღებული სამართლებრივი აქტების რაოდენობა	X	
ჰ	პარლამენტის წევრის საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის წესი	X	
ჰ1	პარლამენტის წევრის ხელფასი	√	
ჰ2	აპარატის მოსამსახურეების თანამდებობრივი სარგოები და დანამატების დაწესება	√	
ჰ3	მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესი	√	
ჰ4	გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობა	√	

‡5	საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობები	X	
‡6	ხაზინადართა საბჭოს დებულება და შემადგენლობა	√	

არსებული ხარვეზები და IDFI-ის რეკომენდაციები

➢ ინფორმაცია რომელიც პარლამენტის ვებგვერდზე საერთოდ ვერ იქნა მოძიებული

მონიტორინგის შედეგების მიხედვით, 2016 წლის 14 მარტის მდგომარეობით, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე საერთოდ ვერ იქნა მოძიებული სავალდებულო პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი შემდეგი ინფორმაცია:

- ბალანსზე რიცხული ქონების გასხვისება;
- პარლამენტის მიერ გაცემული გრანტები;
- საბიუჯეტო ფონდებიდან გამოყოფილი თანხები;
- საბიუჯეტო ფონდებიდან თანხის გამოყოფის შესახებ სამართლებრივი აქტები;
- მიღებული სამართლებრივი აქტების რაოდენობა;
- პარლამენტის წევრის საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის წესი;
- საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობები.

საქართველოს პარლამენტმა აღნიშნული ინფორმაცია უნდა განათავსოს საკუთარ ვებგვერდზე შინაარსობრივად ლოგიკურ ადგილას. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტს, მაგალითად, არ გაუსხვისებია ქონება, არ გაუცია გრანტები ან/და არ მიუღია გრანტები საბიუჯეტო ფონდებიდან, მის ვებგვერდზე ესეც უნდა აღინიშნოს ბრძანებით განსაზღვრული პერიოდულობით.

➢ არასრულყოფილად განთავსებული ინფორმაცია

o პარლამენტის აპარატში დასაქმებულთა შესახებ ინფორმაცია

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანების მიხედვით, აპარატში დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია საჯარო სამსახურის სახეების და გენდერის მიხედვით, პროაქტიულად უნდა გამოქვეყნდეს **კვარტალში ერთხელ**. ვებგვერდზე განთავსებულია მხოლოდ წლიური მონაცემები, ამასთან, არ არის მითითება, წლის კონკრეტულად რა პერიოდის მდგომარეობით არის წარმოდგენილი აღნიშნული მონაცემები.

- ინფორმაცია აპარატში დასაქმებულთა ოდენობის შესახებ (2015)
- ინფორმაცია აპარატში დასაქმებულთა ოდენობის შესახებ (2014)

საქართველოს პარლამენტის აპარატის რიცხოვნობა შეადგენს 618 საშტატო ერთეულს

N	დასახელება	რაოდენობა
1	სამოხელეო თანამდებობა	480
	მ. შ. ქალი	304
	მამაკაცი	176
2	დამხმარე მოსამსახურე	98
	მ. შ. ქალი	75
	მამაკაცი	23
3	შტატგარეშე მოსამსახურე	157
		პარლამენტის წევრის თანაშემწე - შტატგარეშე მოსამსახურე - 60;
		შტატგარეშე მოსამსახურე - 12;
		შტატგარეშე მოსამსახურე - მძღოლი - 85.

IDFI მიიჩნევს, რომ საჯარო დაწესებულებამ დასაქმებული თანამშრომლების შესახებ ინფორმაცია, საჯარო სამსახურის სახეების და გენდერის მიხედვით, საკუთარ ვებგვერდზე უნდა განაახლოს ყოველი წლის დასრულებისას, ეს მონაცემები არ საჭიროებს კვარტალში ერთხელ განახლებას. შესაბამისად, IDFI-ის რეკომენდაციაა შესაბამის ჩანაწერში შევიდეს ცვლილება და გამოქვეყნების ვალდებულება გავრცელდეს მხოლოდ წლის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

➢ ბალანსზე რიცხული უძრავი ქონება

პარლამენტის აპარატის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების შესახებ ინფორმაციის პროაქტიულად განთავსების ვალდებულება საქართველოს პარლამენტს გააჩნია ყოველ **კვარტალში ერთხელ**. მიუხედავად ამისა, ვებგვერდზე უძრავი ქონების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ერთჯერადად (ინფორმაციის განთავსების თარიღი უცნობია) და ასახულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის პირველი ოქტომბრის დადგენილება, რომლის მიხედვითაც, საქართველოს პარლამენტს სარგებლობის უფლებით გადაეცა კონკრეტული შენობა ნაგებობები და არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთები.

ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის აპარატის ბალანსზე

არსებული უძრავი ქონების შესახებ

საქართველოს მთავრობის 01.10.10 წლის N302 დადგენილების შესაბამისად საქართველოს პარლამენტს გადაეცა სარგებლობის უფლებით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში რუსთაველის გამზ. N8-ში მდებარე 12934 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა: N1; N2; N3; N4; N5; N6; N7 საერთო ფართით 51070 კვ.მ. (მიწის უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N01.15.05.049.001), არსებობის ვადით.

ვინაიდან საჯარო დაწესებულების ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების ჩამონათვალი არ ხასიათდება ხშირი ცვალებადობით, IDFI მიიჩნევს, რომ საჯარო დაწესებულებამ საკუთარ ვებგვერდზე ინფორმაცია უნდა განაახლოს მხოლოდ ცვლილების შემთხვევაში და არა კვარტალში ერთხელ. შესაბამისად, IDFI-ის რეკომენდაციაა შესაბამის ჩანაწერში შევიდეს ცვლილება და გამოქვეყნების ვალდებულება გავრცელდეს მხოლოდ ცვლილების შემთხვევაში 10 სამუშაო დღის ვადაში.

0 ავტოპარკი, საწვავის და ტექნიკური მომსახურების ხარჯი

პარლამენტის აპარატის ავტოპარკთან დაკავშირებული უახლესი ინფორმაცია ვებგვერდზე განთავსებულია 2014 წლის მე-2 კვარტლის მდგომარეობით. ბრძანების შესაბამისად ბალანსზე რიცხული ავტომობილების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია მხოლოდ მოდელის მითითებით, ხოლო საწვავის მოხმარებაზე და ავტომობილების ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეული ხარჯების შესახებ მხოლოდ ჯამური ინფორმაცია.

ინფორმაცია 2014 წლის I და II კვარტლებში საქართველოს პარლამენტის აპარატის ბალანსზე

რიცხული

ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესახებ

N	დასახელება	სერია/ნომერი
1	MITSUBISHI L 300	BMW - 790
2	MITSUBISHI L 200	AWA - 100
3	MITSUBISHI PAJERO	VVS - 041
4	MITSUBISHI PAJERO	EVE - 041

ინფორმაცია 2014 წლის II კვარტალში პარლამენტის აპარატის ბალანსზე რიცხულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე გაწეული ხარჯის შესახებ

გაწეული ხარჯი	თანხა ლარებში
საწვავის ხარჯი	382'074.85
მიმდინარე რემონტის ხარჯი	123'244.65
სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი	40'010.00
ტექნიკური მომსახურების ხარჯი	0

IDFI-ის რეკომენდაციით, ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესახებ ინფორმაცია ვებგვერდზე სასურველია განთავსდეს ავტომობილის მოდელის, ავტომობილის გამოშვების წელის, შესყიდვის თარიღის, შესყიდვის ფასის და ნარჩენი ღირებულების მითითებით.

აგრეთვე, პარამეტრების მიხედვით საწვავის მოხმარებაზე და ავტომობილების ტექნიკურ მომსახურებაზე ინფორმაცია ვებგვერდზე უნდა განთავსდეს თანამდებობის პირების და სხვა თანამშრომლების მიერ გაწეული ხარჯების მითითებით. ამასთან, სასურველია, თანამდებობის პირების მფლობელობაში გადაცემულ ავტომობილებზე აღნიშნული ხარჯების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი იყოს თითოეული თანამდებობის პირის მიხედვით.

იხილეთ, მაგალითად, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ პროაქტიულად განთავსებული ინფორმაცია:

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტომანქანების სტრუქტურულ ერთეულებზე განაწილებისა და ყოველთვიური ხარჯის (საწვავის ლიმიტი და რეცხვის ბარათები) განსაზღვრის ნუსხა

№	თანამდებობა/სტრუქტურული ქვედანაყოფი	პასუხისმგებელი პირი	ავტომანქანა	გამოშვების წელი	სახ. ნომერი	საწვავის ყოველთვიური ხარჯი		რეცხვის ბარათების ყოველთვიური ხარჯი
						საწვავის ტიპი	ყოველთვიური ლიმიტი (ლიტრი)	
1	მინისტრი	გია თათარაშვილი	Toyota Landcruiser LC 150	2011	NXN-232	ბენზინი	700	16
2	მინისტრის პირველი მოადგილე	თომა მაისურაძე	FORD escape	2010	KDK-448	ბენზინი	550	10
3	მინისტრის მოადგილე (შ. ამირეჯიბი)	კობა ადუაშვილი	Mitsubishi pajero	2009	QBQ-221	ბენზინი	450	8
4	მინისტრის მოადგილე (ვ. მჭედლიშვილი)	მიხეილ კვიწინაძე	Toyota Landcruiser prado	2007	GEL-848	ბენზინი	450	8
5	მინისტრის მოადგილე (ვაკანსია)	ზვიად ჩადუნელი	Toyota Fortuner	2008	HJH-030	ბენზინი	450	8
6	მინისტრის მთავარი მრჩეველი	იაკობ დარსაძე	KIA Sportage	2012	FFT-302	ბენზინი	400	4

o სატელეკომუნიკაციო ხარჯები

საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე სატელეფონო საუბრებისთვის გაწეული ხარჯების შესახებ ჯამური მონაცემები განთავსებულია მხოლოდ 2014 წლის II კვარტლის მდგომარეობით.

გაწეული ხარჯი	თანხა ლარებში
სატელეფონო საუბრების (საერთაშორისო და ადგილობრივი ზარების) ხარჯი	103'081.59
სატელეკომუნიკაციო ხარჯი	52'390.84

IDFI-ის რეკომენდაციით, აღნიშნული ხარჯების შესახებ ინფორმაცია ვებგვერდზე წარმოდგენილი უნდა იქნას თანამდებობის პირებზე და სხვა თანამშრომლებზე ცალ-ცალკე. ამასთან, სასურველია წარმოდგენილი იქნას თანამდებობის პირებზე დაწესებული სატელეკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტების შესახებ ინფორმაცია.

o შრომის ანაზღაურება

ინფორმაციის პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ნუსხის მიხედვით, გაცემული სარგოების, დანამატების და პრემიების შესახებ ინფორმაცია ვებგვერდზე უნდა განთავსდეს პარლამენტის წევრებსა და აპარატის თანამშრომლებზე ჯამურად კვარტალში ერთხელ. გარდა ამისა, პარლამენტის ვებგვერდზე განთავსებული უახლესი მონაცემები თარიღდება 2014 წლის II კვარტლით.

ინფორმაცია 2014 წლის I და II კვარტლებში პარლამენტის წევრებსა და პარლამენტის აპარატის

თანამშრომლებზე გაცემული შრომის ანაზღაურების შესახებ

გაწეული ხარჯი	**თანხა ლარებში**
თანამდებობრივი სარგო	4'617'755.55
დანამატი	5'397'760.33
პრემია	979'029.34
კომპენსაცია	680'503.51
სულ	**11'675'048.73**

IDFI-ის რეკომენდაციაა, რომ თანამდებობრივი სარგოების, სახელფასო დანამატების და პრემიების შესახებ ინფორმაცია ვებგვერდებზე განთავსდეს თანამდებობის პირებზე ცალ–ცალკე, სახელისა და გვარის მითითებით, ხოლო სხვა თანამშრომლებზე - ჯამური სახით.

მაგალითისთვის იხილეთ საქართველოს პარლამენტის მიერ IDFI-ისთვის მოწოდებული საჯარო ინფორმაცია პარლამენტის წევრების მიერ მიღებული პრემიებისა და დანამატების შესახებ.

პარლამენტის წევრებზე დარიცხული დანამატი 2015 წლის იანვრიდან 2015 წლის აგვისტოს ჩათვლით

	№	იანვარი დანამატი	თებერვალი დანამატი	მარტი დანამატი	აპრილი დანამატი	მაისი დანამატი	ივნისი დანამატი	ივლისი დანამატი	აგვისტო დანამატი
1	ესუფაშვილი დავით	3905.00	4738.75	4738.75	4738.75	4738.75	4738.75	4738.75	4738.75
2	ყობახიძე მანანა	4403.75	4403.75	4403.75	4403.75	4403.75	4403.75	4403.75	4403.75
3	ძიძიგური ზვიად	4338.75	4338.75	4338.75	4338.75	4338.75	4338.75	4338.75	4338.75
4	სანიკიძე გუბაზ	3538.75	3538.75	4658.75	4338.75	4338.75	4338.75	4338.75	4338.75
5	ფეფბაძე მურმან	4338.75	4338.75	4338.75	4338.75	4338.75	4338.75	4338.75	4338.75
6	ბარამიძე გიორგი	4338.75	4338.75	4338.75	4338.75	4338.75	4338.75	4338.75	4338.75
7	აგულაშვილი გიგლა	3538.75	3538.75	3538.75	3538.75	931.25			
8	სამხარაული გელა	2803.75	2803.75	2803.75	2803.75	2803.75	3538.75	3538.75	3538.75

- **სამივლინებო ხარჯები**

ინფორმაციის პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ნუსხის მიხედვით, სამივლინებო ხარჯების შესახებ ინფორმაცია ვებგვერდზე უნდა განთავსდეს პარლამენტის წევრთა და აპარატის თანამშრომელთა შესახებ ჯამურად კვარტალში ერთხელ. ამ შემთხვევაშიც, პარლამენტის მიერ 2014 წლის II კვარტლის შემდეგ ინფორმაცია არ განახლებულა.

ინფორმაცია 2014 წლის I და II კვარტლებში პარლამენტის წევრებისა და პარლამენტის აპარატის

თანამშრომელთა ოფიციალური და სამუშაო ვიზიტებისათვის

გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ

გაწეული ხარჯი	თანხა ლარებში
მივლინება ქვეყნის შიგნით	4'767.64
მივლინება ქვეყნის გარეთ	808'444.64

IDFI-ის რეკომენდაციაა, რომ სამივლინებო ხარჯების შესახებ ინფორმაცია განთავსდეს თანამდებობის პირებზე ცალ-ცალკე ჩაშლილად (სასტუმრო, მგზავრობა, დღიური და სხვა ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით) მივლინების თარიღის, მივლინების მიზნისა და ქვეყნის მითითებით, ხოლო სხვა თანამშრომლების შემთხვევაში - მხოლოდ გაწეული ხარჯები დაჯამებული სახით.

2015 წელს პარლამენტის წევრების ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯები

მივლინების თარიღი	გვარი და სახელი	მივლინების ადგილი	მგზავრობა	სასტუმრო	დღიური	სხვა ხარჯი	ჯამი
23.01-27.01	უსუფაშვილი დავითი	თეირანი	3,742.00		1,857.18	-	5,599.18
16.02-17.02	უსუფაშვილი დავითი	ქერეანი	-		1,197.61	-	1,197.61
22.02-24.02	უსუფაშვილი დავითი	ბორეატია	2,808.00	360.70	1,938.34	195.01	5,302.05
25.02-27.02	უსუფაშვილი დავითი	ბელგარეთი	-		1,923.66	-	1,923.66
27.02-8.03	უსუფაშვილი დავითი	აშშ	8,743.00	6,528.83	3,437.18	655.50	19,364.51
19.04-22.04	უსუფაშვილი დავითი	ქ.კიევი	3,978.00	1,890.71	1,901.61	235.03	8,005.35
22.04-24.04	უსუფაშვილი დავითი	ქ.პოდგორიცა	-		1,882.45	-	1,882.45
17.05-19.05	უსუფაშვილი დავითი	ქ.ბუდაპეშტი	4,895.00	1,489.43	1,356.20	59.95	7,800.58
19.05-21.05	უსუფაშვილი დავითი	მალტა ქ.ლა ვალეტა	-		1,485.88	-	1,485.88
21.05-23.05	უსუფაშვილი დავითი	ქ.მადრიდი	-	1,205.58	2,228.82	183.84	3,618.24
13.07-14.07	უსუფაშვილი დავითი	ქ.ბელგრადი	1,013.00	1,025.76	1,337.92	-	3,376.68

ბიუჯეტი

ინფორმაციის პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ნუსხის მიხედვით განსაზღვრული დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტის, ასევე მისი შესრულების შესახებ ინფორმაცია თავისთავად გულისხმობს აღნიშნული ინფორმაციის ვებგვერდზე განთავსებას საბიუჯეტო ხარჯებისა და შემოსულობების კლასიფიკაციის მიხედვით. მიუხედავად ამისა, საქართველოს პარლამენტის მიერ ვებგვერდზე განთავსებულია მხოლოდ დამტკიცებული, დაზუსტებული და ათვისებული მთლიანი თანხის ოდენობა. ამასთან, სხვა ფინანსური ინფორმაციის მსგავსად, 2014 წლის II კვარტლის შემდეგ ინფორმაცია არ განახლებულა.

ინფორმაცია 2014 წლის I და II კვარტლებში ბიუჯეტის შესრულების შესახებ

ათას ლარებში

დასახელება	წლიური დამტკიცებული მოცულობა	წლიური დაზუსტებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში
საქართველოს პარლამენტი	52'091.00	52'091.00	23'076.19	44.29 %

განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები

განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შემთხვევაში საქართველოს პარლამენტის მიერ დამუშავებული უახლესი ინფორმაცია წარმოდგენილია 2015 წლის I კვარტლის მდგომარეობით. პირველი კვარტლის შემედგ საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე განთავსებულია მხოლოდ პარლამენტის მიმდინარე და განხორციელებული ტენდერების ბმულები სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე.

- სახელმწიფო შესყიდვების 2015 წლის გეგმა
- შესყიდვების 2015 წლის გეგმის ფარგლებში I კვარტალში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
- ინფორმაცია 2014 წელს საქართველოს პარლამენტის ბიუჯეტიდან მაჟორიტარი პარლამენტის წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიუროს მიერ გაწეული ხარჯების შესახებ
- საქართველოს პარლამენტის აპარატის 2015 წლის შესყიდვების გეგმა
- საქართველოს პარლამენტის აპარატის 2014 წლის შესყიდვების გეგმა
- შესყიდვების 2014 წლის გეგმის ფარგლებში IV კვარტალში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
- სახელმწიფო შესყიდვების 2014 წლის გეგმა
- შესყიდვების 2014 წლის გეგმის ფარგლებში III კვარტალში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

საპარლამენტო საქმიანობა > აპარატი

ტენდერები, კონკურსები და აუქციონები

- მიმდინარე ტენდერები, კონკურსები და აუქციონები
- არქივი

o პარლამენტისთვის გამოყოფილი ფინანსური დახმარება

უცხო სახელმწიფოთა მთავრობების და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ადმინისტრაციული ორგანოებისთვის გამოყოფილი ფინანსური დახმარებების (გრანტები, კრედიტები) შესახებ ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე უნდა გამოქვეყნდეს კვარტალში ერთხელ. ვებგვერდზე წარმოდგენილია მხოლოდ 2013 წლის მონაცემები.

IDFI-ის რეკომენდაციით, იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს პარლამენტს 2013 წლის შემდეგ არ მიუღია აღნიშნული პუნქტით განსაზღვრული ფინანსური დახმარებები, მის ვებგვერდზე ესეც უნდა აღინიშნოს.

ინფორმაცია 2013 წელს უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ საქართველოს პარლამენტისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები, კრედიტები) შესახებ

„პარლამენტის კანონშემოქმედებით შესაძლებლობათა გაძლიერებისა და პოლიტიკის ფორმულირების“ პროექტისათვის რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის ინსტიტუციონალური განვითარების ფონდიდან გრანტის სახით გამოყოფილი (474 500 აშშ დოლარი) თანხიდან 2013 წელს საქონლის შესყიდვისა და საკონსულტაციო მომსახურების დასაფინანსებლად გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 131 541,56 ლარი.

o კომიტეტების საქმიანობის ანგარიშები

საქართველოს პარლამენტის საჯარო ინფორმაციის გვერდზე განთავსებულია მხოლოდ კომიტეტების 2015 წლის საქმიანობის ანგარიშები. ახალი ინფორმაციის განთავსების შემდეგ საჯარო ინფორმაციის გვერდზე უნდა შენარჩუნდეს წინა წლების ინფორმაციაც.

კომიტეტების ანგარიში (2015 წელი)

- აგრარულ საკითხთა კომიტეტი
- ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი
- განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი
- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი
- დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი
- დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტი
- ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი
- თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი
- იურიდიულ საკითხთა კომიტეტი
- რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტი
- საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი
- საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი
- საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი
- სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი
- ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი

➢ ინფორმაციის განთავსების დათარიღება

საქართველოს პარლამენტის საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ინფორმაციის განახლებისას უნდა მიეთითოს განახლების თარიღი. საქართველოს პარლამენტის საჯარო ინფორმაციის გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას თარიღები მითითებული არ აქვს.

პარლამენტის ბიუჯეტი, პარლამენტის ფინანსური სახსრები და მატერიალური საშუალებები, შრომის ანაზღაურება

- საქართველოს პარლამენტის დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტები, ინფორმაცია ბიუჯეტის შესრულების შესახებ თარიღი ?
- ინფორმაცია უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ საქართველოს პარლამენტისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები, კრედიტები) შესახებ თარიღი?
- ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის აპარატის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების შესახებ თარიღი?
- ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის აპარატის ბალანსზე არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესახებ თარიღი?
- ინფორმაცია აპარატის მიერ სახელმწიფო შესყიდვების 2013 წლის გეგმის ფარგლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ თარიღი?
- ინფორმაცია აპარატის მიერ სახელმწიფო შესყიდვების 2014 წლის გეგმის ფარგლებში I კვარტალში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ თარიღი?
- ინფორმაცია აპარატის მიერ სახელმწიფო შესყიდვების 2014 წლის გეგმის ფარგლებში II კვარტალში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ თარიღი?
- სახელმწიფო შესყიდვების 2014 წლის გეგმა თარიღი?
- სახელმწიფო შესყიდვების 2015 წლის გეგმა თარიღი?
- ტენდერები

თანამდებობრივი სარგო, დანამატები და პრემიები

- საქართველოს პარლამენტის წევრთა თანამდებობრივი სარგოებისა და სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელების თანხის ოდენობები თარიღი?
- საქართველოს კანონი საქართველოს პარლამენტის წევრის შრომის ანაზღაურების შესახებ
- საქართველოს პარლამენტის წევრის სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელების თანხა

➢ ინფორმაციის თემატური გადანაწილება

საჯარო ინფორმაციის ვებგვერდზე განთავსებისას, ინფორმაცია თემატურად უნდა გადანაწილდეს, რათა მომხმარებელს გაუადვილდეს სასურველი ინფორმაციის მოძიება. საქართველოს პარლამენტის გვერდზე ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც ინფორმაცია არ არის თემატურად დალაგებული. აგრეთვე, ვხდებით შემთხვევებს, როდესაც მიმაგრებული დოკუმენტები განთავსებულ ინფორმაციასთან არ არის თანხვედრაში.

- ინფორმაცია საქართველოს პარლამენტში 2015 წლის მეორე კვარტალში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების და მათზე გაცემული პასუხების თაობაზე

- ინფორმაცია საქართველოს პარლამენტში 2015 წლის პირველ კვარტალში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების და მათზე გაცემული პასუხების თაობაზე

- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანება 18/3 "საქართველოს პარლამენტის აპარატის სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად აპარატის სტრუქტურისა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2009 წლის 27 ივლისის N136/3 ბრძანებით დამტკიცებულ პარლამენტის აპარატის სტრუქტურასა და საშტატო განრიგში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე

- ინფორმაცია აპარატში დასაქმებულთა ოდენობის შესახებ (2015)
- ინფორმაცია აპარატში დასაქმებულთა ოდენობის შესახებ (2014)
- საქართველოს პარლამენტის აპარატის საჯარო მოსამსახურეთა მიერ სამსახურის გავლის წესი (კონკურსის ჩატარების წესი)
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანება 92/3 "საქართველოს პარლამენტის აპარატის სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად აპარატის სტრუქტურისა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2009 წლის 27 ივლისის N136/3 ბრძანებით დამტკიცებულ პარლამენტის აპარატის სტრუქტურასა და საშტატო განრიგში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანება 102/3 "საქართველოს პარლამენტის აპარატის სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად აპარატის სტრუქტურისა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2009 წლის 27 ივლისის N136/3 ბრძანებით დამტკიცებულ პარლამენტის აპარატის სტრუქტურასა და საშტატო განრიგში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში შემოსული განცხადებების და მათზე გაცემული პასუხების შესახებ ზოგადი სტატისტიკა
- ინფორმაცია საქართველოს პარლამენტში 2013 წელს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების და მათზე გაცემული პასუხების თაობაზე
- ინფორმაცია საქართველოს პარლამენტში 2014 წლის პირველ კვარტალში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების და მათზე გაცემული პასუხების თაობაზე
- ინფორმაცია საქართველოს პარლამენტში 2014 წლის მეორე კვარტალში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების და მათზე გაცემული პასუხების თაობაზე
- ინფორმაცია საქართველოს პარლამენტში 2014 წლის მესამე კვარტალში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების და მათზე გაცემული პასუხების თაობაზე
- საქართველოს პარლამენტის 2014 წლის ანგარიში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნების შესახებ პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა თაობაზე

მიმაგრებული დოკუმენტები

- ინფორმაცია საქართველოს პარლამენტში 2015 წელს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების და მათზე გაცემული პასუხების თაობაზე
- ინფორმაცია საქართველოს პარლამენტში 2015 წლის მეოთხე კვარტალში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების და მათზე გაცემული პასუხების თაობაზე
- ინფორმაცია აპარატში დასაქმებულთა ოდენობის შესახებ (2015)
- ინფორმაცია საქართველოს პარლამენტში 2015 წლის მეორე კვარტალში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების და მათზე გაცემული პასუხების თაობაზე
- ინფორმაცია საქართველოს პარლამენტში 2015 წლის პირველ კვარტალში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების და მათზე გაცემული პასუხების თაობაზე
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანება 18/3
- საქართველოს პარლამენტის აპარატში სტაჟირების გავლის წესი
- პარლამენტის აპარატის სტრუქტურა და საშტატო განრიგი
- „საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების მიერ საქართველოს პარლამენტის აპარატში სასწავლო პრაქტიკის გავლის შესახებ" დებულება
- ინფორმაცია საქართველოს პარლამენტში 2014 წლის მეოთხე კვარტალში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების და მათზე გაცემული პასუხების თაობაზე
- ინფორმაცია საქართველოს პარლამენტში 2014 წელს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების და მათზე გაცემული პასუხების თაობაზე

მაგალითისათვის შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე თემატურად განთავსებული შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრული საჯარო ინფორმაცია.

პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია

1. ზოგადი ინფორმაცია სამსახურის შესახებ

	ინფორმაციის დასახელება	განახლების ვადები
1.1	სამინისტროს სტრუქტურა და ფუნქციების აღწერა	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში
1.2	სამინისტროს საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში
1.3	სამინისტროს საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიში	ქვეყნდება ყოველწლიურად
1.4	სამინისტროს მიერ შემუშავებული სტრატეგიები, კონცეფციები და სამოქმედო გეგმები	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში
1.5	სამინისტროს ხელმძღვანელის, მოადგილეების, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების შესახებ ინფორმაცია	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში
1.6	სამინისტროს საკონტაქტო ინფორმაცია	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში

2. საჯარო ინფორმაციის გვერდი

	ინფორმაციის დასახელება	განახლების ვადები
2.1	საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში
2.2	საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში
2.3	ადმინისტრაციული საჩივრის ფორმები/ნიმუშები და ინფორმაცია გასაჩივრების წესის შესახებ	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში
2.4	სამინისტროს მიერ საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის წარდგენილი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ყოველწლიური ანგარიში	ქვეყნდება ყოველწლიურად
2.5	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად განცხადებების შესახებ ზოგადი სტატისტიკა	ქვეყნდება კვარტალურად

3. ინფორმაცია სამსახურის საკადრო უზრუნველყოფის შესახებ

	ინფორმაციის დასახელება	განახლების ვადები
3.1	სამინისტროში გამოცხადებული ვაკანტური პოზიციების ჩამონათვალი, კონკურსის შედეგები, კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი და პროცედურა	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში
3.2	ნორმატიული აქტები, რომლებიც განსაზღვრავს სამინისტროში კონკურსის ჩატარების წესებს	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში
3.3	სამინისტროში დასაქმებულ პირთა ოდენობა კატეგორიების მითითებით გენდერულ ჭრილში	ქვეყნდება კვარტალურად

4. ინფორმაცია სამსახურის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების და სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ

	ინფორმაციის დასახელება	განახლების ვადები
4.1	სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა	ქვეყნდება კვარტალურად
4.2	სამინისტროს მიერ სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის ფარგლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაცია	ქვეყნდება კვარტალურად
4.3	ინფორმაცია სახელმწიფო ქონების გასხვისებისა და სარგებლობაში გადაცემის შესახებ	ქვეყნდება კვარტალურად
4.4	რეკლამის განთავსებაზე გაწეული ხარჯები	ქვეყნდება კვარტალურად

➢ საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2013 წლის 31 დეკემბრის ბრძანების მიხედვით, ასევე დარეგულირდა საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი. განისაზღვრა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებების ნიმუშები, რომლებიც მომხმარებელმა სასურველი ინფორმაციის მისაღებად უნდა გადააგზავნოს ბრძანებაში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე.

საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი

1. საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი (შემდგომ – სტანდარტი) განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტის აპარატში (შემდგომ – აპარატი) არსებული საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის წესსა და პირობებს.

2. ყველას აქვს უფლება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია ელექტრონული ფორმით, აპარატის ელექტრონულ მისამართზე: contact.parliament.ge (შემდგომ – ელექტრონული მისამართი).

საქართველოს პარლამენტის ვებგვერდიდან აღნიშნულის შესახებ ინფორმაციის მიღება მომხმარებელს შეუძლია მხოლოდ, ხსენებული სამართლებრივი აქტის გაცნობის შემდგომ. საკონტაქტო ინფორმაციაში განთავსებულია საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის ნიმუშები, თუმცა რომელ კონკრეტულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე უნდა იქნას გაგზავნილი არ არის მითითებული.

საკონტაქტო ინფორმაცია

- საქართველოს პარლამენტი
- საქართველოს პარლამენტის წევრები
- მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრის ბიურო
- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები
- საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დანართები

მიმაგრებული დოკუმენტები

- მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრის ბიურო (2015)
- მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრის ბიურო (2014)

IDFI-ის რეკომენდაციით, სასურველია, საჯარო ინფორმაციის გვერდზე შეიქმნას ცალკე განყოფილება - „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული მოთხოვნა“, სადაც განთავსდება დეტალური ინფორმაცია შესაბამისი პროცედურების შესახებ.

აღნიშნულ განყოფილებაში ასევე უნდა შეიქმნას საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ელექტრონული მოდული, რომელიც შესაბამისი ველების შევსების შემდეგ მომხმარებელს მიცემს საშუალებას მიიღოს მისთვის სასურველი ინფორმაცია. მაგალითისთვის იხილეთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული საჯარო ინფორმაციის ელექტრონული მოთხოვნის მოდული:



2014 წლის დეკემბრიდან, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) გაეროს განვითარების პროგრამისა და ევროკავშირის დაფინანსებით ახორციელებს საქართველოს პარლამენტის ღია მმართველობის პარტნიორობაში ჩართულობის ხელშეწყობის პროექტს. პროექტების ფარგლებში შექმნილმა ინტერფრაქციულმა ჯგუფმა და სამოქალაქო საზოგადოების სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავეს საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა 2015-2016, რომელიც 18 ვალდებულებისგან შედგება. სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი ვალდებულება იყო ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს შექმნა, რაც საქართველოს პარლამენტმა განახორციელა. შესაბამისად, სამოქმედო გეგმით აღებული ვალდებულებები საქართველოს პარლამენტმა საპარლამენტო საბჭოს მეშვეობით 2016 წლის ბოლომდე უნდა განახორციელოს.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული 18 ვალდებულებიდან 3 ვალდებულება პირდაპირ უკავშირდება საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებას. აუცილებელია, რომ საქართველოს პარლამენტმა სამოქმედო გეგმის ვალდებულებებიდან გამომდინარე შეიტანოს ცვლილება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებაში „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მათ შორის საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულებების გათვალისწინებით და IDFI-ის მიერ განხორციელებული საქართველოს პარლამენტის ვებგვერდის მონიტორინგის შედეგების მიხედვით, შემუშავებულია შემდეგი რეკომენდაციები:

1) საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებაში „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულებების გათვალისწინებით უნდა დაემატოს ქვემოთ ჩამოთვლილი პუნქტები და განახლებები:

- მოქალაქეებისათვის პარლამენტის შენობაში შესვლის წესების განმარტება და შესაბამისი სამართლებრივი აქტები;
- სადეპუტატო შეკითხვები, მიღებული პასუხები და სადეპუტატო შეკითხვებთან დაკავშირებული სტატისტიკა;
- საპარლამენტო დელეგაციებისა და მეგობრობის ჯგუფების ყოველწლიური ანგარიშები.

2) საქართველოს პარლამენტმა უზრუნველყოს სავალდებულო პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის საკუთარ ვებგვერდზე განთავსება (ბალანსზე რიცხული ქონების გასხვისება, პარლამენტის მიერ გაცემული გრანტები, საბიუჯეტო ფონდებიდან გამოყოფილი თანხები, საბიუჯეტო ფონდებიდან თანხის გამოყოფის შესახებ სამართლებრივი აქტები, მიღებული სამართლებრივი აქტების რაოდენობა, პარლამენტის წევრის საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის წესი, საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობები);

3) იმ შემთხვევაში, თუ საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტის მიერ ადგილი არ ჰქონია მაგალითად, ქონების გასხვისებას, გრანტების გაცემას ან/და საბიუჯეტო ფონდებიდან თანხების მიღებას, ვებგვერდზე, ბრძანებით განსაზღვრული პერიოდულობით, უნდა გაკეთდეს შესაბამისი ჩანაწერი, რომელიც ამცნობს აღნიშნულის შესახებ ვებგვერდის მომხმარებელს;

4) საჯარო ინფორმაციის გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას მიეთითოს ინფორმაციის ვებგვერდზე განთავსების თარიღები;
5) საჯარო ინფორმაციის გვერდზე ინფორმაცია გადანაწილდეს თემატურად;
6) ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესახებ ინფორმაცია ვებგვერდზე სასურველია განთავსდეს ავტომობილის მოდელის, ავტომობილის გამოშვების წელის, შესყიდვის თარიღის, შესყიდვის ფასის და ნარჩენი ღირებულების მითითებით;
7) საწვავის მოხმარებაზე და ავტომობილების ტექნიკურ მომსახურებაზე ინფორმაცია ვებგვერდზე უნდა განთავსდეს თანამდებობის პირების და სხვა თანამშრომლების მიერ გაწეული ხარჯების მითითებით. ამასთან, სასურველია თანამდებობის პირების მფლობელობაში გადაცემულ ავტომობილებზე აღნიშნული ხარჯების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი იყოს თითოეული თანამდებობის პირის მიხედვით;
8) სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ინფორმაცია ვებგვერდზე წარმოდგენილი უნდა იქნას თანამდებობის პირებზე და სხვა თანამშრომლებზე ცალ-ცალკე. ამასთან, სასურველია, დამატებით წარმოდგენილი იქნას თანამდებობის პირებზე დაწესებული სატელეკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტების შესახებ ინფორმაცია;
9) თანამდებობრივი სარგოების, სახელფასო დანამატების და პრემიების შესახებ ინფორმაცია ვებგვერდებზე წარმოდგენილი იქნას თანამდებობის პირებზე ცალ–ცალკე, სახელისა და გვარის მითითებით, ხოლო სხვა თანამშრომლებზე - ჯამური სახით;
10) სამივლინებო ხარჯების შესახებ ინფორმაცია განთავსდეს თანამდებობის პირებზე ცალ-ცალკე ჩაშლილად (სასტუმრო, მგზავრობა, დღიური და სხვა ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით) მივლინების თარიღის, მივლინების მიზნისა და ქვეყნის მითითებით, ხოლო სხვა თანამშრომლების შემთხვევაში - მხოლოდ გაწეული ხარჯები დაჯამებული სახით;
11) დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტის, ასევე, მისი შესრულების შესახებ ინფორმაცია ვებგვერდზე უნდა განთავსდეს საბიუჯეტო ხარჯებისა და შემოსულობების კლასიფიკაციის მიხედვით;
12) შესაბამის ჩანაწერში, რომელიც არეგულირებს თანამშრომელთა შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას, შევიდეს ცვლილება და გამოქვეყნების ვალდებულება გავრცელდეს მხოლოდ წლის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში;
13) შესაბამის ჩანაწერში, რომელიც არეგულირებს ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას, შევიდეს ცვლილება და გამოქვეყნების ვალდებულება გავრცელდეს მხოლოდ ცვლილების შემთხვევაში 10 სამუშაო დღის ვადაში;
14) საჯარო ინფორმაციის გვერდზე ახალი ინფორმაციის განთავსებისას ძველი მონაცემები უნდა შენარჩუნდეს;
15) საჯარო ინფორმაციის გვერდზე შეიქმნას ცალკე განყოფილება „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული მოთხოვნა“, სადაც განთავსდება დეტალური ინფორმაცია შესაბამისი პროცედურების შესახებ;
16) სასურველია შეიქმნას საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ელექტრონული მოდული, რომელიც შესაბამისი ველების შევსების შემდეგ მომხმარებელს მიცემს საშუალებას მიიღოს მისთვის სასურველი ინფორმაცია.

IDFI გამოთქვამს იმედს, რომ საქართველოს პარლამენტი გაითვალისწინებს წარმოდგენილ რეკომენდაციებს, რომლებიც უკავშირდება პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით განსაზღვრული სავალდებულო პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის მთელ რიგ პუნქტებს და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის პრაქტიკის დანერგვას.